

საქართველოს კანონი

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20, 05.09.2003, მუხ. 195) მე-11¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები თავისუფლდებიან გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი